პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 85 (995) | ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 1956 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

სურათზე: ევროპის რეკორდსმენი ხ. იუნიჩევი.

ფესტივალის მონაწილის სამკერდე ნიშანი

ფესტივალის ლაურეატის სამკერდე ნიშანი

ფესტივალის ჩემპიონის სამკერდე ნიშანი

ეს სამკერდე ნიშნები, რომლებიც [illegible] იაშვილსა (პირველი ორი) და [illegible]ეშვილდობაძეს ეკუთვნის მიიღო [illegible]ფესტივალის მოგზაურობამ საორგანიზაციო კომიტეტმა.

მნიშვნელოვანი ღონისძიება

მიმდინარე წლის ნოემბერში შორეული ავსტრალიის ერთ-ერთ დიდ ქალაქში — მელბურნში გაიმართება მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული ღონისძიება — XVI ოლიმპიური თამაშები. ამ გრანდიოზულ შეჯიბრებისათვის დედამიწის ყველა კუთხეში დიდი მზადებაა, უკვე დაზუსტდა ყველაფერი: ვინ მიიღებს მონაწილეობას, სად ჩატარდება, როგორი წესით ჩატარდება და სხვ. საბჭოთა კავშირიდან მრავალ ასეულ ტურისტს ექნება ბედნიერება, იხილოს მსოფლიო მნიშვნელობის სპორტსმენთა ჰიდილი ფესტიურთში, კალათბურთში, ჰიდაობაში, კრივში...

დამთავრდება ეს შეჯიბრება და კარზე მოგვიკაკუნებს მეორე არანაკლები მნიშვნელობის ღონისძიება — სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალი, რომელიც მომავალ წელს მოსკოვში ჩატარდება. ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქი აქედანვე შეუდგა მზადებას მსოფლიოს ახალგაზრდობის ამ წარმტაცი ზეიმისათვის. საბოლოოდ დამთავრდება და ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვება ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული კომბინატი ლუჟნიკში, ექვსი მილიონი მანეთია გადადებული გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მწვანე თეატრის მოსაწყობად, რეკონსტრუირებულ იქნება აგრეთვე სხვა პარკები და სპორტული ნაგებობანი. მოსკოვის საქალაქო საბჭოს დადგენილებაში, რომელიც ფესტივალისათვის მზადებას მიეძღვნა, გათვალისწინებულია სტუმრების მიღების, მათი დაბინავების, კვების, კულტურული გართობის საკითხებიც.

ფესტივალისათვის წარმატებით ემზადებიან ჩვენს რესპუბლიკაშიც. დედაქალაქის სპორტსმენებმა ამას წინათ წარმატებით დაამთავრეს მასობრივი ალპინიადა მწვერვალ ყუროზე და ერთ უსახელო მწვერვალს, რომელიც მათ დაიპყრეს ფესტივალის სახელიც კი უწოდეს. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებულმა საფესტივალო სიმღერისა და სამკერდე ნიშნების ჟიურიმ შეაჯამა კონკურსზე შემოსული მასალები, დაადგინა კონკურსში გამარჯვებულები. ამას წინათ გაზეთებში გამოქვეყნდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ხალხური შემოქმედების სახლი გამოსაცემად ამზადებს ფესტივალისადმი მიძღვნილი სიმღერების კრებულს, რომელიც შედგენილია რესპუბლიკის მოწინავე კომპოზიტორების მიერ. მზად არის რაიონული ფესტივალების ჩატარების ზუსტი გრაფიკი, ამ დღეებში დაიწყება ფესტივალისადმი მიძღვნილი მასობრივი კროსი.

როგორც ცნობილია, ფესტივალზე დიდი ადგილი დაეთმობა სპორტულ ღონისძიებებს, ჩვენ ამას წინათ გამოვაქვეყნეთ წერილი ფესტივალის სპორტული ნაწილის შესახებ. სადაც მოცემული იყო პროგრამა და ნორმები, რომლებიც აუცილებელია შეჯიბრების მონაწილეობისათვის. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ საოლქო, საქალაქო და რაიონული ფესტივალების საორგანიზაციო კომიტეტებმა და რესპუბლიკურ ფესტივალზე კარგად მომზადებული ახალგაზრდები გამოგზავნონ.

ფესტივალის ყველა ეტაპი უნდა ჩატარდეს ხალხთა მეგობრობის ნიშნით. — სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდების გაცნობის, დამეგობრების ნიშნით. კარგად მოიქცა მცხეთის რაიონის ფესტივალის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც გარდა მეზობელ რაიონების ახალგაზრდებისა, თავის ფესტივალზე მოიწვია ბალტიისპირეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდები. ამან შეავსო და მრავალფეროვანი გახადა ზეიმის პროგრამა, დიდად შეუწყო ხელი მოძმე ერების ახალგაზრდების დამეგობრებას.

როგორც ვხედავთ, ფესტივალისათვის მზადება მიმდინარეობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ საერთო საქმეში ჯერ კიდევ სუსტად მონაწილეობენ სპორტული ორგანიზაციები. ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ რაიონული ფესტივალის სპორტული ნაწილის უფერულად, დაბალი ტექნიკური შედეგებით ჩატარება რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის სავალალო მდგომარეობაზე მეტყველებს, ამიტომ საჭირო აქედანვე დავრაზმოთ რაიონული აქტივი და წინასწარ შედგენილი მტკიცე გეგმით სანიმუშოდ შეავსრულოთ ჩვენზე მონდობილი საქმე. ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული სპორტული ღონისძიებები ჩვენ დაგვეხმარება ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმის შესრულებაში, რომელიც, როგორც ცნობილია, რესპუბლიკის გეგრი რაიონში არასახარბიელო მდგომარეობაშია.

იმისათვის, რომ ფესტივალის სპორტული პროგრამა უფრო დაძაბული და საინტერესო იყოს, ჩვენი წამყვანი სპორტსმენები უნდა ჩავაბათ ამ საქმეში. მათი მონაწილეობა (რასაკვირველია, კონკურსგარეშე) რაიონული ფესტივალების სპორტულ ნაწილში მეტ სიცხოველეს, ხალისსა და დაძაბულობას შეიტანს შეჯიბრებაში. ამას გარდა, კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი მოწინავე მწვრთნელები ამ სახალხო ღონისძიებისათვის მზადების პერიოდში მაინც მიაშურებდნენ პერიფერიებს. ისინი თავიანთი რჩევა-დარიგებებით, გამოცდილებათა გაზიარებით, საჩვენებელ მეცადინეობათა ჩატარებით, გუნდების დაკომპლექტებაში საკუთარი წვლილის შეტანით დიდ დახმარებას გაუწევენ რაიონის სპორტულ სკოლებსა და სექციებს.

ფესტივალისათვის მზადების დღეებში განსაკუთრებით უნდა გაცხოველდეს საშეფო მუშაობა. ამ საქმეში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სათანადო დადგენილება მიიღო, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი ჯერჯერობით მხოლოდ საზოგადოება „დინამომ“ გადადგა — სპორტული ბრიგადა გაგზავნა თელავსა და თელავის რაიონის სოფელ აკურაში.

ახალგაზრდობის ფესტივალის — ახალგაზრდობის ზეიმის, მათი კულტურული, მხატვრული, სპორტული ზრდისა და დავაუკაცების დემონსტრაციის სახელოვნად ჩატარება, რესპუბლიკის ახალგაზრდობისა და სპორტული ორგანიზაციების უპირველესი საზრუნავია. მართალია, ეს მეტად რთული და საპასუხისმგებლო ღონისძიებაა, მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს ამის გამოცდილება (გავიხსენოთ რესპუბლიკური სპარტაკიადა) და იგი სავსებით გამოგვადგება ამ საქმეში.

ახალგაზრდობის ფესტივალი დაიწყო. მცხეთის რაიონის ახალგაზრდობამ თავიანთი ეს დღესასწაული ზეიმით აღნიშნეს. მალე სხვა რაიონებიც ჩაებმებიან ამ საერთო ფერხულში. დამთავრდება საოლქო, საქალაქო და რაიონული ფესტივალები და თბილისში შეიკრიბებიან რესპუბლიკის ახალგაზრდები. ეს იქნება ჩვენი პირველი ფესტივალი.

ფესტივალის აღსანიშნავად

კომკავშირულებისა და ახალგაზრდების მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაში ფართოდ ჩაბმის, სპორტსმენ-თანრიგოსანთა გამოვლინებისა და საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე სამ ეტაპად ტარდება რესპუბლიკის ახალგაზრდობის ფესტივალისადმი მიძღვნილი მასობრივ-ფიზკულტურული კროსი.

პირველ ეტაპზე ქარხნების, ფაბრიკების, წარმოების, სკოლების, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში კროსს ჩატარებენ 22 ოქტომბრამდე.

მეორე ეტაპზე ბრძოლაში ჩაებმებიან რესპუბლიკის რაიონები და ქალაქები. კროსში მონაწილე ორგანიზაციები ამ ეტაპზე სამ ჯგუფად იყოფიან. პირველ ჯგუფში გამოვლენ წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და სხვათა ნაკრები კოლექტივები. [illegible]ენდების ჩასათვლელი რაოდენობა განისაზღვრება 5 ვაჟითა და 5 ქალით.

მეორე ჯგუფში დაიშვებიან სკოლების ძირეული კოლექტივები. [illegible]ვთეულ გუნდში უნდა იყოს 10-10 უმცროსი და უფროსი ასაკის ვაჟები და ამავე რაოდენობისა და [illegible]ავე ასაკის გოგონები, აგრეთვე [illegible]-5 ჰაბუკი და ქალაშვილი 18 წლის [illegible]ევით. უმაღლეს სასწავლებლებისა [illegible] ტექნიკუმების ძირეული კოლექტივები ქმნიან მესამე ჯგუფს. [illegible] თვითეულ კოლექტივს ვამოყავს 20 მამაკაცი და 20 ქალი 18 წლის ზევით.

ფინალში (მესამე ეტაპი), რომელიც თბილისში 6-დან 10 ნოემბრამდე ჩატარდება, მონაწილეობას მიიღებენ დედაქალაქის რაიონების ნაკრები გუნდები. ყველა გუნდს სამივე ასაკში (როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის) გამოყავს 50-50 მონაწილე.

პროგრამა ყველა ეტაპისათვის ერთნაირია. 13-14 წლის ჰაბუკები და გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებიან 500 მეტრზე რბენაში, ჰაბუკები და ქალაშვილები (15-17 წლისა) 800 მეტრზე. ჰაბუკები და მამაკაცები 18 წლისა და ზევით — 1.500 მეტრზე. ამავე ასაკობრივ ჯგუფის ქალაშვილები და ქალები — 800 მეტრზე.

ყოველი ასაკობრივი კატეგორიისათვის მსაჯთა კოლეგიები, რომლებსაც ნიშნავენ კროსის ჩამტარებელი ორგანიზაციები, აწესებენ სამ საკონტროლო დროს.

პირველ ეტაპზე პირად შეჯიბრებაში ვამარჯვებულები დაჯილდოვდებიან კომკავშირის რაიკომების ქების ფურცლებითა და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტების დიპლომებით, ხოლო გუნდები ადგილობრივი საბჭოებისა და საფეხბურთო კომიტეტების სიგელებით. მეორე და მესამე ეტაპებზე გამარჯვებული გუნდები — კომკავშირისა და ფიზკულტურის რაიონული და საქალაქო კომიტეტების სიგელებით.

★ ○ ★

წინასაოლიმპიადო გამოცდებზე

ვინ შეეა საბჭოთა კავშირის მოცურავეთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა მოცურავეთა შესარჩევ შეჯიბრებას, რომელიც 12-13 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვში.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ქალთა შორის პირველობის პრეტენდენტები იყვნენ ლენინგრადელი კოპოროვა, კიეველი კოვალენკო და ესტონელი უუსმეესი. გამარჯვებულის სახელი დაიმსახურა კოვალენკომ. უუსმეესი მას მხოლოდ 0,3 წამით ჩამორჩა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა 50-მეტრიან აუზში ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში ერთდროულად ორმა მოცურავე ქალმა აჩვენა 3 წუთზე უკეთესი შედეგი. ვაჟთა შორის ცურვის ამ სახეობაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია მოსკოვის ოლქის სპორტსმენმა ხ. იუნიჩევმა. მისი შედეგი — 2.37,2 წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისა და ევროპის უმაღლეს მიღწევას და მესამეა საერთოდ სპორტის ისტორიაში. ხ. იუნიჩევი ოლიმპიურ მედლის პრეტენდენტია. ამის საბაბს იძლევა ის ვარემოება, რომ იუნიჩევზე უკეთეს დროში ეს დისტანცია დაფარული აქვს მხოლოდ ორ სპორტსმენს — მსოფლიო რეკორდსმენს იაონელ ფურუკავას და ჩინელ მუ სიან-სიუნს.

ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია ახალგაზრდა ნიჭიერმა თბილისელმა მოცურავემ ბორის ნიკიტინმა. მან 800 მეტრი გაცურა 9.49,5-ში და დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი.

★ ○ ★

ამანათრგენის 45 წლისთავი

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მოუწყო მძლეოსანთა საშემოდგომო ტრადიციული შეჯიბრება ამანათრგენში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოველ სპორტსმენებში, რაც ერთი მხრივ აიხსნებოდა იმითაც, რომ ეს შეჯიბრება წელს საიუბილეო ხასიათს ატარებდა — 45-ედ მოეწყო.

სტარტზე გამოვიდა 500-ზე მეტი სპორტსმენი. მძლეოსნობის ვეტერანებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ 1911 წელს პირველად ჩატარებულ ამანათრგენში, სტარტი მისცეს უძლეურეს გუნდებს. საერთო პირველი ადგილი მოიგეს „დინამოს“ სპორტსმენებმა.

დიდი ტურნირი

IV ტურში შეჯიბრების ლიდერი ტაიმანოვი შავებით ეთამაშებოდა ვროსმაისტერ უნციკერს. გაცვლითი ოპერაციების შემდეგ ტაიმანოვმა მცირე უპირატესობა, მიიღო რაც მოგებისათვის საკმარისი. არ აღმოჩნდა. უნციკერი თავს ზუსტად იცავდა და მიაღწია ყაიმს. ნაიდორფმა დასაწყისშივე ხელთ იგდო ინიციატივა სლივასთან, რომელიც ამ ტურნირში მეტად წარუმატებლად ითამაშებს. კომბინაციური დარტყმებით ნაიდორფმა გამარჯვება მოიპოვა. ჩოკილტა ულმანთან (გდრ) თავს არაზუსტად იცავდა და მორიგი, მეოთხე დამარცხება განიცადა.

დიდი დაძაბულობით გამოირჩეოდა ბრონშტეინ-გლიგორიჩის შეხვედრა. ესპანურ პარტიაში ბრონშტეინმა მცირე უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ გლიგორიჩი თავს კარგად იცავდა და შეძლო უშუალო მუქარების მოგერიება, მაშინ ბრონშტეინმა საინტერესო მანევრით თამაში კვლავ გაართულა და მოიგო პაიკი. პარტია გადაიდო. თამაშის განახლებისას გლიგორიჩმა, რომელიც თავს იშვიათი შეუპოვრობით იცავდა, ვეღარ შეძლო თეორიების მუქარის მოგერიება და პირველი დამარცხება განიცადა.

მშვიდი თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა პადკასკი-შტალბერგის, პახმან-ბოტვინიკისა და სპო-გოლომბეკის პარტიები. სმისლოვ-კერესის პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით აღინიშნა ბრონშტეინ-შტალბერგის პარტია.

ამგვარად, ოთხი ტურის შემდეგ დამთავრდა ყველა გადადებული პარტია. წინ ორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი ტაიმანოვი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს. მსოფლიო ჩემპიონმა გროსმაისტერმა ბოტვინიკმა მოაგროვა 3 ქულა.



ს ურ ა თ ზ ე: „პიშჩევიკის“ ცენტრალურ საბჭოს პირველობაზე გამარჯვებული საქართველოს „პიშჩევიკის“ თავისუფალ მოჭიდავეთა გუნდი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სარბენი ბილიკის შესახებ

მძლეოსნობაში ნაყოფიერი წვრთნა, მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული სარბენი ბილიკების ხარისხზე. ბილიკი შეიძლება იყოს მაგარი და რბილი. მაგარ ბილიკზე მომეცადინე მძლეოსნები უჩვეულო ფეხების ტკივილს, რადგან ასეთ ბილიკზე მეცადინეობისას კუნთები მალე ეჭიმებათ, ემართებათ ძვლის საზარდულას და მუხლების ანთება, აწუხებთ ტკივილები კოჭ-წვივის სახსრებში. ამის გამო მძლეოსანი შეიძლება დიდი ხნით გამოვიდეს მწყობრიდან. რბილი ბილიკი კი შესაძლებლობას იძლევა ჩავატაროთ დიდი საწვრთნელი მუშაობა.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებული სარბენი ბილიკების უმრავლესობას, კლიმატური პირობების შესაბამისად, მაგარი ვრუნტი აქვს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენი სტაიერები იძულებული არიან ივარჯიშონ ქალაქგარეთ, მოასფალტებულ გზატკეცილზე.

ამჟამად მძლეოსნები აწარმოებენ სრულწლიურ მეცადინეობას ღია ცის ქვეშ, მაგრამ მათი გეგმა ხშირად ირღვევა, როცა წვიმის შედეგად მაგარ ბილიკზე წყალი დგება, ხოლო რბილზე — ტალახი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევებში მძლეოსნებს კარგ სამსახურს გაუწევდა ნახერხიანი ბილიკები.

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ქალაქის მაგალითისამებრ გასულ წელს თბილისში ლენინის სახელობის სტადიონზე მოეწყო ნახერხის ბილიკი, რომელმაც მთლიანად გაამართლა იმედი.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ბილიკი არ იყო სათანადო რეცეპტით გაკეთებული, რადგან იგი კარგ ამინდში ძალზე მაგრდება, ხოლო წვიმის დროს — ტალახიანდება.

ნახერხის ბილიკს მზე, წვიმა ზიანს არ აყენებს, ყინვაში უფრო კარგია სარბენი ფეხსაცმლებით მეცადინეობისათვის. ოღონდ საჭიროა მას სათანადოდ მოვუაროთ.

ნახერხის ბილიკი ელასტიკურია და მორბენალს საშუალებას აძლევს იმეცადინოს დიდი დატვირთვით, ამასთან ასეთი ბილიკის მოწყობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, არ მოითხოვს მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს. ნახერხის ბილიკის ქვედა ფენა იქმნება 10 სანტიმეტრი სისქის ნამწვისაგან. ზედა ფენა (20–30 სმ სისქის) წარმოადგენს 3 წილი ნახერხისა და ერთი წილი პირიტის ნამწვის (გოგირდისა და სპილენძის ან რკინის მინერალური ნაერთი) ნარევს. ეს უკანასკნელი, ნახერხის დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

ჩვენის აზრით, ნახერხის ბილიკების პროექტირება შესაძლებელია სარბენი ბილიკების გვერდით, იქ, სადაც ყოველთვის გამოყოფენ ადგილს გაზონებისათვის.

ნახერხის ბილიკების მოწყობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, თუ გვინდა ავამაღლოთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა შედეგები, გავაუმჯობესოთ საწვრთნელი პროცესი.

თბილისის ლენინის სახელობის სტადიონი მძლეოსანთათვის არის განკუთვნილი, მაგრამ იგი ჯერჯერობით მოუწყობელია. საჭიროა იგი გადავაქციოთ სპორტის ამ სახეობაში მომეცადინეთა სრულწლიური მეცადინეობის საუკეთესო ბაზად. თუ ამ საქმეს აქედანვე მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით, კარგ მაჩვენებლებს მოვიპოვებთ.

ვ. ვაშაკიძე,
სპორტის ოსტატი.
ვ. ნედაშკოვსკი,
მწვრთნელი.

ჩემი ამაგი

თითქმის ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად შეალო სკოლის კარები ი. კიზირიამ, როგორც ფიზკულტურის მასწავლებელმა. მაშინ სენაკში (ახლა ქალაქი ცხაკაია) ფიზკულტურა და სპორტი არც თუ ისე პოპულარული იყო. თავისი საქმით გატაცებულ ახალგაზრდა მასწავლებელს ბევრი შრომა დაჭირდა, რათა სპორტში მოეზიდა ახალგაზრდები, შეექმნა ძლიერი კოლექტივი, მაგრამ ეს როდი აკმაყოფილებდა მას. მალე იგი სკოლის ფარგლებს გასცდა, ძალების დაუზოგავად იბრძოდა ფიზკულტურის პოპულარიზაციისათვის მთელს რაიონში.

სპორტის მოყვარულ გულმემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ ი. კიზირიას მიერ გამოზრდილ სპორტსმენთა სიჩაუქე. მათ არა ერთხელ უსახელებიათ თავი რაიონულ თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე, მალე ბევრი გვერდით ამოუდგა ხელმძღვანელს, თვითონ მოკიდა ხელი ახალგაზრდების ფიზიკური წრთობის საქმეს.

გადიოდა წლები. იზრდებოდა და მტკიცდებოდა ცხაკაიელ ფიზკულტურელთა რიგები, უფრო პოპულარული და საყვარელი ხდებოდა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზატორი. გულდაწყვეტილები დარჩნენ ცხაკაიელები, ახალსოფლელები, ზუგდელები, ნოსირელები და სხვა სოფლების ფიზკულტურელები, როცა ი. კიზირია ქობულეთში გადაიყვანეს ფიზკულტურის სამაზრო ინსტრუქტორად.

ახლა უკვე ვამოცდილ მუშაკს აღარ უჭირდა ძირეული კოლექტივების ჩამოყალიბება, დაზმარება, ხელმძღვანელობა.

ოცდაათიან წლებში ი. კიზირია აჭარის ფიზკულტურის საბჭოში გადაიყვანეს სამუშაოდ. 1933 წელს კი საქართველოს ფიზკულტურის საბჭოს დადგენილებით დაინიშნა ქუთაისის ფიზკულტურის საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად, სადაც ოთხი წლის განმავლობაში ქალაქში მოწყობილი ყველა სპორტული ღონისძიების ინიციატორი იყო. განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებაზე.

მალე ი. კიზირია თბილისს ესტუმრა. იქ-იგი 1947 წლამდე მუშაობდა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში ინსპექტორად, შემდეგ იგი იყო ჩაისა და სუბტროპიკული-კულტურების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურის ბიუროს თავმჯდომარედ, სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ, მერე კი ახლადჩამოყალიბებული სპორტსაზოგადოების „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ი. კიზირია განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა სპორტის ნაციონალური სახეობების შესწავლის (განსაკუთრებით, ცხენოსნობის) საქმეში. ვასული წელი კი თბილისის კინოსტუდიაში გაატარა, როგორც ფილმ „ბაში-აჩუკის“ კონსულტანტმა.

ფიზკულტურის ამ ენთუზიასტს საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დაუფასა დამსახურება, სპორტის დამსახურებული ოსტატობა და საკავშირო კატეგორიის მსაჯობა მიაკუთვნა, იგი დაჯილდოებულია აგრეთვე ფიზკულტურის ფრიადოსნის ნიშნით.

ამას წინათ იგი ეწვია რედაქციას. ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— თითქმის ოთხი ათეული წელი გავატარე ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სამსახურში. კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი სოციალისტურ სამშობლოს, რომელმაც არ დაივიწყა ჩემი ამაგი და მატერიალურად უზრუნველყო ჩემი სიბერის დღეები.

1.200 მანეთი პენსია, რომელიც მე დამენიშნა, მთლიანად უზრუნველყოფს ჩემსა და ჩემი ოჯახის საჭიროებებს, მაგრამ მე თავს ჯანმრთელად ვგრძნობ, კიდევ შემიძლია საზოგადოებრივი დატვირთვის სახით ვემსახურო ჩემს საყვარელ საქმეს— ახალგაზრდობის ფიზიკურ წრთობას.

მადლობა ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც ასე მამობრივად ზრუნავენ ხალხზე.

ო. გელაშვილი

დახურული სტადიონი

დახურული სპორტული ნაგებობა! ეს არის არა მარტო მოცურაველების, მძლეოსნების, ფეხბურთელების, ფრენბურთელების, არამედ აგრეთვე სპორტის ათასობით გულშემატკივრის ოცნებაც. რამდენი უსიამოვნება მოუყენებიათ სპორტსმენებისა და სპორტის მოყვარულებისათვის ამინდის კაპრიზებს ... ვინ იცის რამდენჯერ გვითქვამს: „ეს მატჩი ძალზე მიმზიდველი იქნებოდა, რომ თამაში წვიმას არ გაეფუჭებინა“, მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ფეხბურთელები, მძლეოსნები იძულებული არიან ნახევარ წელზე მეტი იმეცადინონ ვიწრო შენობაში ან გაემგზავრონ სამხრეთში. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად აფერხებს სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას.

შეიძლება თუ არა აიგოს დახურული სტადიონი? ამ საკითხზე ორი წლის განმავლობაში მუშაობდნენ სპორტის მოყვარულები, გამოკდილი ინჟინრები დ. ზაოლჩიკოვი, ა. ბოლდირევი, ნ. ხლებნიკოვი, ვ. ლაშხია და სხვები. ბოლოს მათ წარმოადგინეს ასეთი სტადიონის საინტერესო პროექტი.

გიგანტური სფერო მჭიდროდ ჰხურავს სტადიონის თაღს, არც ერთი ჭუჭრუტანა არა აქვს მას, არც ერთი ბოძი არ იჭერს ამ ვეებერთელა სახურავს. მაყურებელს არაფერი არ უშლის ხელს მინდორზე მიმხდარი ამბების თვალყურის დევნებაში. თალფაქი შეიძლება გაიხსნას და დაიხუროს. თუ ამინდი გაფუჭდა, საკმარისია დისპეტჩერმა სიგნალი მისცეს მართვის ცენტრალურ პულტს, და მინის ნახევარსფეროები ელექტროენერგიის დახმარებით ავტომატურად დაიწყებენ მოძრაობას და შეერთდებიან.

არც მზიან დღეში შეწუხდება მაყურებელი სიცხისაგან. ორი მილიონი კუბური მეტრი ჰაერი, რომელიც მოქცეულია თალფაქის ქვეშ, განუწყვეტლივ მოდის მოძრაობაში საკონდიციო დანადგარების გამოყენებით. ზამთარში, დიდი ყინვების დროსაც, დახურულ სტადიონზე ტემპერატურა 14 გრადუსზე დაბლა არ დაეცემა. ამისათვის შემოსასვლელებთან დაიდგმება მოწყობილობები, რომლებიც ცივ ჰაერს „გარეკავს“.

ნამდვილად რეალურია თუ არა ეს რთული პროექტი, შეიძლება თუ არა მისი ტექნიკური შესრულება? არქიტექტურის ისტორიამ ჯერ კიდევ არ იცის ამის მსგავსი ნაგებობა. ატლანტიკ-სიტის (აშშ) მთავარი აუდიტორიუმის დარბაზის ზომაა 88×148 მეტრი, ჩიკაგოს დახურული სტადიონისა — 81×91 მეტრი. აქ კი საჭიროა გადაიხუროს ნაგებობა ზომით — 280×180 მეტრი.

მაგრამ ამ გაბედული პროექტის განხორციელება, როგორც ბევრი გამოჩენილი სპეციალისტი აღიარებს, სავსებით შესაძლებელია. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა მოიწონა ეს პროექტი. დახურული სტადიონი ძალზე ესაჭიროებათ ჩვენს სპორტსმენებს. პროექტის ავტორებმა ვაითვალისწინეს მთელი რიგი დეტალები, რომლებიც საჭიროა ასეთ სტადიონზე მასობრივ-სპორტული შეჯიბრებების, დღესასწაულების ჩასატარებლად.

ახლო მომავალში მინის ნახევარსფეროებით გადიხურება მოსკოვის „დინამოს“ სტადიონი და მაშინ ჩვენ კანონიერად ვიამაყებთ ამითაც, რომ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში არის მსოფლიოში ყველაზე უდიდესი გადახურული სტადიონი.

ა. კონსტანტინოვი
მოსკოვი.

კარგი საჩუქარი

არავისთვის დასამალი არაა ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები საგრძნობლად არიან მოკლებული სპორტულ ლიტერატურას ქართულ ენაზე. ის, რაც გამოცემულია, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს.

მაგრამ ქალაქის სპორტსმენებს ასე თუ ისე გააჩნიათ საჭირო ლიტერატურის გარკვეული რაოდენობა. გაცილებით უარეს მდგომარეობაში არიან სოფლის ფიზკულტურელები, რომლებსაც თითქმის სრულიადაც არ აქვთ თავისი სპეციფიკის მიხედვით გათვალისწინებული წიგნები. ამიტომ განსაკუთრებით მისასალმებელია „სოფლის ფიზკულტურელის თანამგზავრის“ გამოჩენა თაროზე, რომელიც ახას წინათ გამოცა სახელგამმა.

ეს წიგნი წარმოადგენს შემოკლებულ თარგმანს მეორე რუსული გამოცემიდან. შემოკლებულს იმის გამო, რომ რუსული გამოცემიდან ამოღებულია სპორტის ზამთრის ის სახეობანი, რომლებიც ჩვენში არაა კულტივირებული.

ეჭვს გარეშეა „სოფლის ფიზკულტურელის თანამგზავრი“, რომლის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა სპეციალისტებმა, დიდ დახმარებას გაუწევს სოფლად მომუშავე ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს, სპორტსმენებს. ფიზკულტურის ორგანიზატორი მრავალ სასარგებლოს იპოვის მასში საორგანიზაციო საკითხებზე, სპორტის უმთავრეს სახეობებში წვრთნისა და შეჯიბრებათა მოწყობის შესახებ. ეს წიგნი ერთგვარ კომპლექსურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს და გარდა მეთოდური მითითებებისა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, აშუქებს ისეთ საჭირო საკითხებს, როგორიცაა ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის შექმნა და მასში მუშაობის გაშლა, შეჯიბრებათა ორგანიზაცია, საკოლმეურნეო სტადიონისა და საცურაო აუზის მოწყობა, სპორტული ინვენტარის დამზადება საკუთარი ძალებით, ძირითადი ცნებები ადამიანის ორგანიზმის შესახებ, დაზიანებათა შემთხვევაში პირველი სამედიცინო დახმარების შესახებ.

გარდა ამისა, წიგნს დართული აქვს მშთ კომპლექსის დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ დადგენილი უკანასკნელი ცვლილებებით. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ წესდება, სპორტული კლასიფიკაცია, შეჯიბრებათა ოქმის ფორმები და სხვ.

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მის შინაარსს.

გ. გიჟიმყარელი

ორი მაგალითი

ზაფხულის მცხუნვარე დღეებშიც არ წყდებოდა შტანგის ხმაური „პიშჩევიკის“ დარბაზში. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის ძალოსნობის სექციის წევრები, ძირითადად სწორედ მათგანაა დაკომპლექტებული „პიშჩევიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები გუნდი. აქაური ფიზკულტურელები არა ერთხელ გამოსულან წარმატებით რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების პირველობებში. ძალოსნები ვ. რადიმაშვილი, ს. წოწონავა, ო. ჭიჭინაძე და გ. ბანძავა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები და რეკორდსმენები არიან.

სექციამ მუშაობა განსაკუთრებით გააძლიერა ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში. მწვრთნელის კ. ზაუტაშვილისა და სპორტსმენთა შეთანხმებულ მუშაობას უშედეგოდ არ ჩაუვლია — ვ. რადიმაშვილმა გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი ორი ხელით აწევაში, რომელიც მ. ელენტს ეკუთვნოდა.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა თანრიგოსანთა რიცხვი. წამყვან სპორტსმენთა რიგებს შეემატნენ კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდები გ. ნარსია, ვ. ბალდასაროვი, ო. მაკაკარიანი და სხვები. ძალოსანთა სპორტული მაჩვენებლების ზრდას ხელი შეუწყო, როგორც ღია ცისქვეშ ჩატარებულმა ვარჯიშებმა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ხოლო შემდეგ ბათუმში ჩატარებულმა შეხვედრებმა, ისე საქართველოს ცნობილი შტანგისტების, სპორტის ოსტატების ხშირმა სტუმრობამ, ისინი თავიანთი რჩევა-დარიგებით დიდ დახმარებას უწევდნენ ახალგაზრდებს.

ამას ვერ ვიტყვით ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების „ლოკომოტივის“ რაიონული საბჭოს ძალოსნობის სექციის მუშაობის შესახებ. რამდენიმე წლის წინათ ეს კოლექტივი საკმაოდ ძლიერად ითვლებოდა თბილისში. აქ აღიზარდნენ ძალოსნები ძმები ა. და რ. გალოიანები, მ. სავანელი და სხვები, მაგრამ ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

„ლოკომოტივის“ რაისაბჭოს ყველა პირობა გააჩნია იყოლიოს ძალოსნობის ძლიერი სექცია, მაგრამ ამ მდგომარეობას რატომღაც აქ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

უ. ჭირაქაძე



დღეს „დინამოს“ კორტებზე

17 ოქტომბერს თბილისში „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე იწყება საკავშირო ტურნირი ჩოგბურთში საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ჯილდოზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ს. ანდრეევი, ა. მირზა, ს. ფრიდლანდი, ს. ბელიც-გეიმანი, ა. ბოიცოვი, ა. ანისიმოვი, რ. მოზერი, ვ. ურაევსკი და სხვ. ქალთა შორის გამარჯვებისათვის იბრძოლებენ ფილიპოვა, ლიტოვჩენკო, ტროშკინა, ტამი, უსტავი, რიაზანოვა და სხვ.

ამავე დღეს „დინამოს“ ჩოგბურთის კორტზე დაიწყება მწვრთნელთა საკავშირო შეკრება, რომელსაც გაივლის 30-მდე მწვრთნელი.

სემინარებს ჩაატარებენ ცნობილი ჩოგბურთელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ე. ნეგრებეცკი და ბ. ნოვიკოვი, სპორტის ოსტატები ს. ბელიც-გეიმანი, ს. ანდრეევი, ვ. ფილიპოვა, ე. კორბუტი.



სეზონის ფინიშთან

„შრომითი რეზერვები“ — ტენიერი — ტოროპოვი, ბელიდიშოვი, შიშკოვი, დემიდოვი, ბოგომოლოვი, ვასილევი, გავრილინი, კოლობოვი, ტენიაგინი, ივანოვი, ცვეტკოვი.

„დინამო“ — თბილისი — მარლანია, ელოშვილი, ძიაშია, ხოკოლავა, კოტრიკაძე, ლოლობერიძე, ხახაია, გაგნიძე, კალოევი, ჭკუასელი, მესხი.

მსაჯი: საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. არხიპოვი (მოსკოვი).

ბულგარეთში ჩატარებული საერთაშორისო შეხვედრების შემდეგ თბილისის „დინამომ“ თავის სტადიონზე გუშინ ჩაატარა მორიგი კალენდარული მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. მათ წინააღმდეგ თამაშობდა გათამაშების აუტსაიდერი ლენინგრადის „შრომითი რეზერვები“.

იმის მიუხედავად, რომ ამ შეხვედრას ლენინგრადელებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ქონდა, ისინი მოედანზე გამარჯვების სრული რწმენით გამოვიდნენ. შეხვედრის მეორე წუთზე საჯარიმო მოედანზე ლენინგრადელმა მცველმა ხელით ითამაშა და სტუმრები დაჯარიმდნენ 11 მეტრიანი დარტყმით, რაც კარგად გამოიყენა ხასაიამ და ანგარიში გახსნა. პირველი მარცხის მიუხედავად ლენინგრადელებმა მიიღეს მასპინძელთა სწრაფი ტემპი და მძაფრ ბრძოლაში ჩაებნენ, ისინი ყოველ რგოლში, მოედნის ყოველ ადგილას ცდილობდნენ ბურთის დაუფლებას, თამაშში გარდატეხის შეტანას, რასაც ერთხანს მიაღწიეს კიდეც და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს თბილისელთა კართან. თამაში გათანაბრდა. 12-ე წუთზე დინამოელებმა გარღვევაზე გაიყვანეს კალოევი, რომელიც მეკარის პირისპირ დარჩა, მაგრამ ანგარიშის გაზრდის ხელსაყრელი შემთხვევა ვერ გამოიყენა.

სტუმრების ერთერთი შეტევის დროს თბილისელმა მცველებმა ბურთი მიაწოდეს ჭკუასელს, რომელმაც არ დააყოვნა და შეუჩერებლად გადააწოდა თავისუფალ ადგილზე მყოფ კალოევს. იგი ისევ მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. ამჯერად მან შეძლო მეკარის მოტყუება და ანგარიში 2:0 გახდა. ეს მოხდა შეხვედრის 38-ე წუთზე.

მეორე ნახევარი კვლავ ლენინგრადელთა იერიშით დაიწყო. 49-ე წუთზე მარლანიამ ორჯერ ზედზედ იხსნა საკუთარი კარი აშკარა გოლისაგან. 61-ე წუთზე თბილისელებს შეეძლოთ მესამედ აეღოთ მოწინააღმდეგის კარი, მაგრამ პირისპირ გასულმა ჭკუასელმა დააგვიანა, მიუსწრეს დამცველებმა და შეტევა მოიგერიეს.

საპასუხო ბურთის გატანის ყველაზე რეალური შესაძლებლობა ლენინგრადელებს ქონდათ 66-ე წუთზე, როცა შეტევით გატაცებული თბილისელები მოწინააღმდეგის ნახევარზე მოგროვდნენ. ზიშოვმა ძლიერი დარტყმით ბურთი მეორე ნახევარზე გადმოგზავნა. აქ თბილისელთა ორი მცველის წინაშე აღმოჩნდა ხუთი მოწინააღმდეგე, მაგრამ ბოგომოლოვი აჩქარდა, ბურთი კარს უკან გაგზავნა.

კიდევ ერთი ბურთის გატანის შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს თბილისელებმა 74-ე წუთზე, როცა მარკვანიდან ხასაიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია. კალოევს არავინ უშლიდა ხელს დამშვიდებით გაეზარდა ანგარიში, მაგრამ მან კვლავ მეკარეს „მიაწოდა“ ბურთი, თამაშის მიწურულში ლენინგრადელებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ო. ივდოშვილი

ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	21	14	4	3	65:28	32
„დინამო“ ბ.	21	10	8	3	44:24	28
...ლა	21	10	5	6	40:29	25
„დინამო“ კ.	21	7	10	4	31:26	24
„ტორპედო“	22	8	7	7	40:37	23
„ბუფევ.“	22	9	5	8	38:49	23
„დინამო“ თბ.	21	8	4	9	40:42	20
„შახტიორი“	21	6	7	8	29:39	19
„ზენიტი“	21	3	11	7	22:42	17
„ლოკომოტ.“	20	4	8	8	31:26	16
...ფ. სახლი სვ.	21	5	4	12	25:40	14
„შრ. რეზერვ.“	22	3	7	12	25:47	13

* * *

14 ოქტომბერს გაიმართა 2 მატჩი. მოსკოვს „ტორპედო“ სტალინოში ითამაშა ადგილობრივ „შახტიორს“. შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 2:1.

მოსკოვში ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 4:3. ამავიდან მოსკოველის „სპარტაკმა“ ერთი დარჩენილი მატჩის მიუხედავად უკვე გაინაღდა ჩვენი ქვეყნის 1956 წლის ჩემპიონის სახელი, აღსანიშნავია, რომ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა უკვე მეექვსეჯერ დასაკუთრეს სსრ კავშირში უძლიერესი გუნდის სახელი.

ცხრილი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კრ. სოვეტოვი“	30	22	5	3	74:16	49
„ბუბაშკი“ ოფ. სახლი	30	22	5	3	74:16	49
თბილისი	29	20	7	2	88:26	47
„სპარტაკი“ ერევანი	29	15	9	5	60:23	39
„ზენიტი“ ივანოვი	29	12	12	5	49:38	36
„ნეფტიანიკი“ კრასნოდარი	30	15	4	11	62:51	34
„ტორპედო“ გორკი	29	14	6	9	47:36	34
„ნეფტიანიკი“ ბაკო	29	13	6	10	59:45	32
...ქ. ვორონეჟი	29	10	11	8	31:31	31
„ტორპედო“ სტალინგრადი	29	11	6	12	40:43	28
„ავანგარდი“ სვერდლოვსკი	28	9	10	9	34:37	28
...ქ. მოლოტოვი „ავანგარდი“	29	11	6	12	25:30	28
ჩელიაბინსკი „შახტიორი“	28	10	7	11	28:30	27
ტაშკენტი „ტორპედო“	26	10	6	10	30:34	26
როსტოვი „კარატი“	28	8	7	13	43:41	23
ალმა-ატა „სპარტაკი“	30	7	8	15	31:48	22
ფრუნზე „კოლხოზჩი“	29	4	8	17	21:65	16
...ეზხაბადი „კოლხოზჩი“	30	4	5	21	24:71	13
სტალინაბადი	29	1	5	23	19:100	7

სწრაფი ტემპი, დაძაბული გრძოლა

„სპარტაკი“ ერევანი: მათეოსიანი (ისრაელიანი) პაპოვიანი, ფოლადიანი, სემერჯიანი, ამბარცუმიანი, ვარდანიანი, კაპანაკოვი (გოროიანი), აბრამიანი, ანტონიანი, კეგიანი, გოლოშჩაპოვი.

ოფიცერთა სახლი (თბილისი): ტიტოვი, სიჭინავა, თორაძე, კვირკველია, ხუნდაძე, რამიშვილი, დალაქიანი, ნორაკიძე, მელაშვილი, კურტანიძე, მენაბდე.

მსაჯი: რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ეპიხინი (მოსკოვის ოლქი).

თბილისელი მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა თბილისის ოფიცერთა სახლისა და ერევნის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრას. ეს ინტერესი იმით იყო გამოწვეული, რომ მათი ყოველი მატჩი სპორტული სიმწვავით ხასიათდება. არმიელებისათვის შეხვედრის მოგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ისინი აგროვებდნენ იმდენივე ქულას, რამდენიც კუბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ 29 თებერვალიდან. ერევნელები მატჩის მოგებით მტკიცედ იკავებდნენ მესამე ადგილს.

კვირას, 14 ოქტომბერს, დღის 3 საათისათვის თბილისის „დინამოს“ სტადიონი გაივსო მაყურებლებით. რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ეპიხინის სასტვენის ხმაზე მოედანზე გამოვიდნენ გუნდები. თამაში დაიწყო ყოველდღიური დაზვერვის გარეშე, მაღალ ტემპში. ანგარიში ფაქტიურად მესამე წუთზე უნდა გახსნილიყო, როცა დალაქიანმა მარკვანი ფრთაზე გარღვევაზე გაიყვანა ხუნდაძე და ამ უკანასკნელმა ბურთი ვადასცა ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ მელაშვილს. 7-8 მეტრიდან დარტყმული ბურთი აცდა სპარტაკელთა კარს. ზუსტად ორი წუთის შემდეგ მსგავსი კომბინაცია გამეორდა თბილისელთა კართან — კეგიანმა ბურთი ჩააწოდა აბრამიანს, რომელიც პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, მაგრამ ტიტოვი გაბედულად ჩაუხტა ფეხებში ერევნელს და კარი იხსნა თითქმის აშკარა გოლისაგან. მე-10 წუთზე კურტანიძემ სპარტაკელთა საჯარიმოზე ბურთი გადასცა მენაბდეს. ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა კარში, მაგრამ მცველმა პაპოვიანმა ფეხი დაუხვედრა კარში მიმავალ ბურთს, შეუცვალა მიმართულება და თბილისელთა ფარზე გამოჩნდა ციფრი 1. სტუმრებმა სპასუხო ბურთის ვატანა შეძლეს მე-22-ე წუთზე. აბრამიანმა დაახლოებით 22 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაქვითა ბურთი. მაგრამ ეს ანგარიში დიდხანს არ დარჩა უცვლელი. ორი წუთის შემდეგ კურტანიძემ ზუსტად ჩაწოდა ბურთი მენაბდეს, რომელმაც იგი გაგზავნა კარის დაბალ კუთხეში—2:1. მორიგ მარცხს სპარტაკელებმა მონდომებული თამაშით უპასუხეს. 28-ე წუთზე საჯარიმოდან მათ კვლავ გაათანაბრეს ანგარიში — 2:2. ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდეს არმიელებმა. უმთავრესად კომბინაცია აწყობოდა მარკვანი მხრიდან (ხუნდაძე — ნორაკიძე — დალაქიანი). ერთ-ერთი ასეთი კომბინაციის დროს დალაქიანმა კარგად მიიღო ხუნდაძის მიერ მიწოდებული ბურთი, მოატყუა მცველი და ოსტატური დარტყმით გაზარდა ანგარიში თავისი გუნდის სასარგებლოდ. ანგარიშით 3:2 დამთავრდა ამ საინტერესო მატჩის პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ ხუნდაძე სწრაფად შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ კარში დარტყმის მომენტში მას ფეხი დაუდო ერევნელმა პაპოვიანმა. 11-მეტრიანი საჯარიმო კარგად გამოიყენა მელაშვილმა და ანგარიში გახდა 4:2. ათი წუთის შემდეგ მარკხენა ფრთიდან გარღვევაზე გავიდა მენაბდე, დაარტყა კარში, მეკარე ისრაელიანის მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო კურტანიძემ და ანგარიში ხუთამდე გაზარდა. ამის შემდეგ კეგიანმა ერთ-ერთი შეტევისას ფეხი იტკინა და ერევნელები მოედანზე ათი კაცის შემადგენლობით დარჩნენ. ამის მიუხედავად ისინი კვლავ მედგრად უტევდნენ თბილისელთა კარებს, ცდილობდნენ გარდატეხა მოეხდინათ თამაშში. გონგის შემდეგ, თბილისელთა გამარჯვებაში დარწმუნებულმა ბევრმა მაყურებელმა კიდეც დატოვა სტადიონი. მაგრამ უკანასკნელ ორი წუთის განმავლობაში ანგარიში ორჯერ შეიცვალა. ჯერ ერევნელებმა 11-მეტრიანი საჯარიმოდან (აბრამიანი), ხოლო შემდეგ მელაშვილმა ხუნდაძის მიწოდებიდან. ანგარიშით 6:3 დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კოლექტივმა დიდი მონდომებით ჩაატარა მატჩი. კარგი თამაშით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დალაქიანი, თორაძე, ხუნდაძე, კვირკველია და მენაბდე. ეს უკანასკნელი პირველად ვამოვიდა ოსტატთა გუნდში და მოფიქრებული თამაშით ყველას მოწონება დაიმსახურა.

ო. ეოლდანია,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათებზე: თბილისელთა მეკარე ტიტოვი ნახტომით იგერიებს ბურთს. ქვემოთ — მელაშვილს გაუქვს მეექვსე ბურთი.

თამაშობენ ქუჩის გუნდები

ამას წინათ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატის ბ. პაიჭაძის წერილი, რომელიც ფეხბურთელთა ლირსეული ცვლის მომზადების მიზნით ნორჩებს მოუწოდებდა ჩაატარებინათ პირველობა ქუჩის გუნდებს შორის.

ამ ღირსშესანიშნავი ინიციატივა იკისრა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ და სულ მალე ქალაქის სხვადასხვა საფეხბურთო მოედნებზე სასპორტოდ გამოვიდნენ ნორჩი სპორტსმენები.

კიროვის რაიონის ქუჩის გუნდების პირველობაზე, რომელიც 23 სექტემბერს დაიწყო და ორ ასაკობრივ ჯგუფად მიმდინარეობდა, სულ წარმოდგენილი იყო 11 კოლექტივი, აქედან 5 იყო უმცროსი და 6 უფროსი ასაკის გუნდი. შეჯიბრება გამოითშვის სისტემით ჩატარდა.

პირველობის ყველა თამაში მაუდკამეოლის ფაბრიკის სტადიონზე ჩატარდა (შეჯიბრების მთავარი მსაჯი მ. კალანდაძე). უმცროსი ასაკის გუნდების ფინალი 30 სექტემბერს მოწყო. ფინალში გავიდნენ მ.ასნიკოვის ქუჩის ვუნდი „არწივი“ და „ელვა“ (70-ე საშუალო სკოლა). დაძაბულ ბრძოლას შედეგი არ მოუცია, შეხვედრა დამთავრდა ფრედ—0:0. დეტულების მიხედვით, მეორე დღეს დაინიშნა ამ გუნდებს განმეორებითი შეხვედრა, სადაც გაიმარჯვა „ელვას“ ფეხბურთელებმა — 2:0.

მეტად საინტერესო გამოდგა უფროსი ასაკის ვუნდების ფინალი, რომელშიც მონაწილეობდა 72-ე საშუალო სკოლის გუნდი „ურაგანი“ და „თოლია“ (მიასნიკოვის ქუჩა). ინიციატივა ხელთ იგდეს „თოლიას“ სპორტსმენებმა და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ამრიგად, კიროვის რაიონის ჩემპიონები გახდნენ „ელვა“ და „თოლია“. ამ ორმა გუნდმა მოიპოვა ქალაქის პირველობაზე მონაწილეობის უფლება.

სტალინის რაიონის პირველობაზე თამაშობდა 20 გუნდი. ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა საკურამოს ქუჩის გუნდი „ნაპერწკალი“. მათ ნახევარფინალში დიდი ანგარიშით — 7:0 დაამარცხეს პლეხანოვის პროსპექტის გუნდი „სხივი“, ხოლო ფინალში „კოცონთან“ (ორჯონიკიძის ქუჩა) გამოვიდნენ გამარჯვებულები (5:1).

უ. ჯანჯალეიშვილი

ორჯონიკიძე—თბილისი

თბილისში სტუმრად იყვნენ ორჯონიკიძის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდები.

პირველ დღეს სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები. ქალთა გუნდების შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა 3:0. მეორე დღეს ორჯონიკიძელი სპორტსმენები თამაშობდნენ თბილისის „ბურევესტნიკის“ ნაკრები გუნდის წინააღმდეგ. სტუმრებმა შეძლეს მხოლოდ ერთი პარტიის მოგება და შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 3:1.

უფრო საინტერესო გამოდგა ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. პირველ დღეს სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელები. პირველ პარტიაში ანგარიში თბილისელებმა წაიყვანეს 10:4, მაგრამ სტუმრებმა შემდგომში შეძლეს თამაშის გათანაბრება (10:10). პარტიის დასკვნითი ნაწილი ძლიერად ჩაატარეს ორჯონიკიძის ფრენბურთელებმა და გაიმარჯვეს — 15:11. მომდევნო ორ პარტიაში უპირატესობა თბილისელთა მხარესაა და ისინი იგებენ 15:12 და 15:10. როგორც ჩანს ამ წარმატებამ მასპინძლები დაამშვიდა და მათ შედარებით ოთხლად დათმეს მეოთხე პარტია — 15:8. მე-5 პარტიაში გაიმარჯვეს თბილისელებმა. მატჩი დამთავრდა 3:2 ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით.

მეორე დღეს სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა „ბურევესტნიკის“ ნაკრები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს თბილისელმა ფრენბურთელებმა.

ლ. ფალიაშვილი

უბრალო ნავით ან ტივით ატლანტიკის ოკეანის გადაკვეთის რამდენიმე შემთხვევა მოხდა ამ უკანასკნელ წლებში. ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინათ ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნეთ ექიმ ბომბარის ლაშქრობა რეზინის ნავით, ცნობები მოვათავსეთ აგრეთვე ნორვეგიელი სწავლულის ტორა ჰაიერდალისა და მისი ხუთი მეგობრის შესახებ, რომლებმაც ტივ „კონტიკით“ გადალახეს ოკეანე. ეს ორივე სენსაციური ლაშქრობა სამეცნიერო მიზნებს ისახავდა, მაგრამ მიმდინარე წლის ზაფხულში მოწყობილ ლაშქრობას — ატლანტიკის ოკეანეზე — მეცნიერების გამდიდრებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. იგი იყო სამი მამაცი ადამიანის ტრაგედია, სამი მამაცი ადამიანის თავგანწირვა ლუკმაპურისათვის.

ამ დრეიფის ორგანიზატორი იყო ანრი ბოდუ, ეროვნებით ფრანგი, ოცდაცხრა წლის, ელექტროინჟინერი, მუშაობდა საფრანგეთის ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში, მაგრამ ხელფასი იმდენად მცირე ჰქონდა, რომ ბედის საძებნელად ცოლთან ერთად კანადაში წავიდა. „საფრანგეთში, — იგონებდა შემდეგ ანრი, — კანადას ვუყურებდი რაგორც იმედის ქვეყანას. მაგრამ ეს სრულებით ასე არაა. მე იძულებული ვიყავი ქუჩა-ქუჩა მევლო და გამეყიდა მტვრის საწმენდი ცოცხები, შემდეგ რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად დავიწყე მუშაობა. ჩვენ ძალზე ღარიბად ვცხოვრობდით, ამიტომ მე გადავწყვიტე დამემტკიცებინა, რომ ანრი ბოდუ კიდევ რაღაცად ღირს“.

და აი მან გადაწყვიტა ატლანტიკის ოკეანის ტივით გადალახვა. მას ამ მამაცურ საქმეში ამხანაგიც გამოუჩნდნენ. გასტონ ვანაკირე, ფრანგი, რომელიც კანადაში ანრიზე ორი წლით ადრე ჩამოვიდა, მარკ მოედინა — მხატვარი დეკორატორი და ყოფილი მარტინე. კანადის ფირმებმა რეკლამისგულისათვის მოამარაგა ექსპედიცია პროდუქტებით. გასული წლის გაზაფხულზე ტივი შეეცურდა ოკეანეში. მოგზაურები ფიქრობდნენ, რომ თბილი დინება, რომელიც მექსიკის ყურეში იწყება და კოლის ნახევარკუნძულთან თავდება, გადაიყვანს ტივს ოკეანეზე. 66 დღე ხეტიალობდნენ ისინი ზღვაზე, ვიდრე ქარიშხალმა არ გარიყა ტივი, რომელიღაც კუნძულზე. ეკიპაჟი რაღაც სასწაულით გადარჩა. დაბრუნდნენ სახლში, მაგრამ გაჭირვებამ კვლავ აიძულა ისინი გასულიყვნენ ზღვაში მამაცური ლაშქრობის გასამეორებლად.

21 აგვისტოს მოგზაურებმა მიაღწიეს ინგლისს. ამ დღეებში ლონდონში იმყოფებოდნენ საბჭოთა ჟურნალისტები ვ. ვლადინი და ბ. მიხაილოვი, რომლებსაც სურდათ მოგზაურებთან შეხვედრა, მაგრამ გამოირკვა, რომ ისინი თავისთავს აღარ ეკუთვნოდნენ, უფლება არ ჰქონდათ ვინმეს შეხვედროდნენ ესაუბრათ, ინტერვიუ მიეცათ. ეს უფლება მხოლოდ გაზეთ „დეილი მეილს“ ჰქონდა ნაყიდი.

ჩვენი გაზეთის მკითხველები, სოხუმის ქართული თეატრის მსახიობი ვ. ნინიძე და ნ. მიქაშავიძე გვთხოვდნენ მოგვეთავსებინა ნარკვევი ამ მამაცურ ოდისეიაზე. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდამ“ ამას წინათ გამოაქვეყნა ამ მოგზაურობის ვრცელი ნარკვევი. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვაქვეყნებთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაბეჭდილი ნარკვევის „გაყიდული ვაუკაცობის“ შემოკლებულ ტექსტს.

ს უ რ ა თ ზ ე: თავისუფალი მოჭიდავე ვ. ბათლიძე, რომელმაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატის საპატიო სახელი მოიხვეჭა.

ერთგული იგლოთელი

გაყიდული ვაჟკაცობა

ი ს ე ვ

გ ზ ა ვ ი

ამჯერად ფირმებმა ზერელედ შეხედეს მათ განზრახვას. „ზღვაოსნობის ისტორიაში, — წერდა ანრი ბოდუ, — ძნელად თუ მოიძებნება ასე მსუბუქად აღჭურვილი ექსპედიცია, როგორიც ჩვენი იყო. 14 ქილა დამარილებული ხორცი, 3 ქილა სოსისკი (თითო ქილაში 7 ცალი), 66 კილოგრამი კარტოფილი, 5 კილოგრამამდე ფქვილი და ცოტა ბრინჯი. აი, მთელი ჩვენი მარაგი. ხომ დავეთანხმებით, ეს რომ მეტად ცოტაა ოთხი მამაკაცისათვის, რომლებმაც არ იციან როდის მიაღწევენ მიწას“.

ტივის აღჭურვისათვის და სხვადასხვა ინსტრუმენტის შესაძენად ფული არ ეყოთ. მათ მხოლოდ შეძლეს თოკების, საძილე ტომრების, თბილი ტანსაცმელის ყიდვა. დაკვირვებებზე და სერიოზულ გამოცდილებებზე ფიქრიც ზედმეტი იყო, რადგანაც მათ მხოლოდ კომპასი, თერმომეტრი, საათი, ბარომეტრი, სექტანტი და ანემომეტრი გააჩნდათ.

ტივი გალიფაქსის წყნარ ნავსადგურში იდგა. ცხრა წითელი ხის მორი მჭიდროდ იყო გადაბმული ერთმანეთზე თოკებითა და ხის სამაგრებით. ტივის შუაში იდგა ფირფიცრისაგან აგებული ქოხი, რომელშიც მხოლოდ ჯდომა ან წოლა შეიძლებოდა. ქოხის სახურავთან მოაბეს რეზინის გასაბერი ნავი — ერთადერთი იმედი.

23 მაისს ცურვისათვის ყველაფერი მზად იყო. ანრი ბოდუს მეგობრებმა აჩუქეს კატის ორი კნუტი — გუიპონა და პუსა. მოგზაურებმა გადაწყვიტეს მათი თან წაყვანა, მაგრამ ცხოველთა მიმართ მკაცრად მოჰყურობის საწინააღმდეგო კანადის საზოგადოებამ მტკიცე პროტესტი განაცხადა. ადამიანების ბედი მათ სრულებით არ აწუხებდათ, „მაგრამ ამ კეთილი განზრახვის ხალხმა,—იგონებს შემდეგ ანრი ბოდუ. — არ იცოდა თუ ეს ორი პატარა ცხოველი რა დიდ სამსახურს გაგვიწევდა. მათ არ ესმოდათ, ან საიდან უნდა შეეგნოთ, რომ გუიპონია და პუსა იხსნიდნენ ოთხ მარტოდმარტო მამაკაცს სიგიჟისაგან“.

ცურვის დაწყების წინა ღამეს გასტონმა და ანრიმ ჯუბის ქვეშ დამალული მოიყვანეს ტივზე კატები და ქოხში ყუთებს შორის დამალეს. 24 მაისს დღისით, გალიფაქსის პორტში შეკრებილი მრავალრიცხოვანი ხალხი უყურებდა თუ როგორ ჩაბა თოკი საბუქსირო გემმა ტივს და ღია ზღვაში გაიყვანა. 10 მილის გავლის შემდეგ საბუქსირო თოკი მოხსნეს...

ულუფა მცირდება

მოგზაურებმა ცურვის დაწყება სადღესასწაულო სადილით აღნიშნეს — ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც მათ გაძღომამდე ისადილეს.

„ზღვაში მარტო დარჩენის შემდეგ, — წერდა ანრი გემის ჟურნალში, — დავიწყეთ წყალმცენარეების ჭერა და მისგან სალათის კეთება. საზიზღარი რამე იყო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საჭიროა პროდუქტების იმ მარაგის მომჭირნეობით ხარჯვა, რომელიც ნაპირზე შევიძინეთ“.

შეუდგნენ რა შორეულ მგზავრობას, მათ იცოდნენ, რომ ატლანტიკის ოკეანეში ბევრია თევზი, მაგრამ ამ დროს თურმე ნიუფაუნდლენის მიდამოებში თევზი დიდ სიღრმეში ბინადრობს, მოგზაურებს საჭირო სათევზაო ინსტრუმენტი არ აღმოაჩნდათ და ამიტომ ისევ წყალმცენარეებს მიეძალნენ.

27 მაისს მეგობრებმა ერთი კოლოფი სიგარეტი გახსნეს და გადაწყვიტეს, რომ ყოველ კვირას გეწევნათ თითო კოლოფი და თანაბრად გაეყოთ. შუადღისას ცას ღრუბელი გადაეკრა, წამოვიდა წვიმა. ტივს ქარი ხანგამოშვებით დაუბერებოდა. ქარის სიძლიერის გამზომმა — ანემომეტრმა აჩვენა 25 მილი საათში.

წყვდიადში გაისმა ვახტზე მდგომი მარკის ყვირილი. ანრი გამოვიდა გემბანზე და შეამჩნია, რომ ტალღები ტივს კუნძულ საიბულის ჩრდილოდასავლეთ მხარის კლდეებისაკენ მიაქანებდა.

— ყველანი ზევით! — დაიძახა ანრიმ.

იალქნის მანევრირებით და საჭეზე დაწოლით მოგზაურები ცდილობდნენ კუნძულის ჩრდილოეთიდან შემოვლას. ეს იყო გადარჩენის ერთადერთი შანსი. გამოიყენეს ქარი, მთელი თავიანთი ძალ-ღონე და შეძლეს სახიფათო ზონის გავლა. მეორე დღეს თითქოს ქარი დარწმუნდა, რომ იგი ადამიანების ნებისყოფას ვერ გასტეხდა და დაცხრა.

გ უ რ უ ს ი

„ტივზე ჩამოწვა ბურუსი, — წერდა ღიღურში ანრი, — ნაცრისფერი ბამბის ბარიერი უძრავად, საათობით გვერტყა ირგვლივ. ეს აუტანელი იყო. მე არც კი ვიცი რაგორ მოვიყვეთ ამის შესახებ. თქვენ შეგიძლიათ ელაპარაკოთ თქვენს მეგობარს, მაგრამ ბურუსი ახშობს მას, სიტყვები ყოველგვარ ეზოს გარეშე იკარგებიან ჰაერში. ბურუსით იეღინთება ტანისამოსი და სულიც“.

ბურუსში რაღაც საიდუმლოებაა. ბოროტ წინასწარგრძნობას იწვევს მისი ბნელი ნაფლეთები. იგი გძელთ, რადგანაც მის წინააღმდეგ ვერ იბრძვით, საჭიროა მოცდა, ვიდრე თავისი ნებით მოხსნიდეს ალყას.

ანრიმ ჩასწერა თავის ღიღურში:

„ახლა მე ვხედავ, დიდიხნით მოვწყდით ქვეყანას. მივეცურავთ ბურუსში, ძალღონე ვეცლება. წონაში დაკელეთ. თუ უახლოეს დღეებში თევზს არ დავიჭერთ, ევროპაში მისვლისას ჩვენგან ლანდიც არ დარჩება“.

„7 ივლისს ყოზეს ჩიტებისათვის მახე დაავო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი კვირაა, რაც ზღვაში ვართ, ჩვენ კიდევ ვერ დავიჭირეთ თევზი. თუ ამ დღეებში ცოტა რამ არ მოვინადირეთ მალე საქმელი არაფერი გვექნება“.

ამ ჩანაწერებს მოჰყვება უფრო საშინელი ჩანაწერები:

„ჩიტები არ მოხედნენ ჩვენს მახეში, დავსუსტდით, მე ვცდილობდი გამესაზღვრა ჩვენი ადგილმდებარეობის კოორდინატები, მაგრამ სექტანტი გამართულ ხელზე ნახევარი წუთითაც ვერ დავიჭირე. ხელი მიკანკალებდა და სახსრები მტეხდა. ჩვენ ხომ დიდი ხანი არაა, რაც ნაპირს მოვცილდით, რა მოგველის, წინ დიდი გზა გვიდევს“.

მარკს ჰქონდა სატეხი და ხისაგან გამოთალს შაშის ქვები, ხოლო დაფად ყუთის ხუფი ვამოიყენა. დაიწყეს ტურნირი ტივის პირველობაზე. მაგრამ მისი დამთავრება შეუძლებელი იყო, რადგან შიშველი ამის საშუალებას არ იძლევდა. რობინზონების აფორიაქებულ სულს ამშვიდებდა კატის კნუტები. გუიპონასა და პუსას ზღვა ოდნავადაც არ აშინებდათ. კატებმა სწრაფად აითვისეს მდგომარეობა ტივზე და ნამდვილ „მეზღვაურებს“ დაემსგავსნენ. მშვიდად შეცქეროდნენ ისინი ყალყზე შემდგარ ვეება ტალღებს. მათზე მზრუნველობა, მათი თამაში მნიშვნელოვნად აქარწყლებდა ტივის მობინადრეთა მძიმე ცხოვრებას.

ცუდმა ამინდმა, ბურუსმა, ღელვამ და მუდმივმა შიმშილმა შეარყია ეოზე მატინეს ჯანმრთელობა. იგი ყველაზე უფრო იტანჯებოდა. თუ გასტონ ვანაკირის ჰყოფნდა ძალა და მონდომება დაეხაკუნებინა კონიაპარატი, ანრი ბოდუს ეწერა ღღიურები, მონე მოდენეს ეფუსფუსა რაციასთან, ეოზე ღღე-ღამის დიდ ნაწილს მარტობაში — ქოხის კუთხეში ატარებდა, მას აღარ შეეძლო სეჭესთან დგომა თვალები ჩაუცვინდა, ჩამოხმა.

„როცა მე მას ვუცქერი, — წერდა ანრი, — ასე მგონია სარკეში ვიხედები და ვხედავ თუ როგორ ბერდებიან ჩვენ მალე და მერე რისთვის? ეოზე სულ უფრო ცუდად ზდება, სულით დაეცა. მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე ვადავსვათ ხმელეთზე. მისი განწყობილება ნათელია — მას აღარ სჯერა ჩვენი წარმატების. მას მხოლოდ ერთი სურვილი აქვს — დაბრუნდეს მონრეალში“.

„ორშაბათი. 18 ივნისი. აღმოსავლეთის ქარი ამოვარდა და ჩვენ ისევ უკან გადმოგვისროლა. ეოზეს უკვე აღარ შეუძლია ვახტზე დგომა. ის მხოლოდ ჯაბს და ძინავს“.

„ოთხშაბათი. 20 ივნისი. ის იყო ვახტზე დავდექი რომ ჰორიზონტზე დავინახე ტრაულერი. ეოზე გადარჩა! ტრაულერი მოგვიახლოვდა. კაპიტანი შეგვეკითხა ხომ ყველაფერი წესრიგში გაქვთ. ვუპასუხეთ რომ „არა“. ნავი ჩამოუშვეს წყალში. ვთხოვეთ რომ ავადმყოფი ამხანაგი კანადაში დაებრუნებინათ. კაპიტანი დაგვეთანხმა.

თ ბ ი ლ ი

დ ი ნ ე ბ ა

„25 ივნისს, დილით მარკმა უიმედოდ, მაგრამ მაინც ზღვაში ვაღაგდო ანკესი. მკერდიდან სიხარულის ყვირილი აღმოხდა ყველას, როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ ტივზე ამოვათრიეთ მოზრდილი ვირთევზა. რამდენიმე წუთის შემდეგ მარკის ანკესს კიდევ მოჰყვა თევზი. მოგზაურობის პერიოდში მხოლოდ ამ დღეს შეჭამეს სადილი ძღომაზე. თევზის თავებით სუპი მოხარშეს, შიგნეულობა კატებს გადაუგდეს, დანარჩენი კი შეწვეს. საღამოს კი როუეს მიერ მოწყობილ ხაფანგში სამი ჩიტი გაეგება. ახალი ხორცი იყო“.

„კვირა. პირველი ივლისი. ჩვენი ჩვეულებრივი საქმელია თითო მოხარშული კარტოფილი, ერთი ჩამჩა ბრინჯი, შემწვარი პურის ნაჭერი. ეს რაციონი მთელი დღისაა, ხოლო ბედნიერი თევზაობის შემთხვევაში შეშწვარი თევზი ემატება“.

„ორშაბათი. 2 ივლისი. ეზომავ წყლის ტემპერატურას და შევნიშნე, რომ თერმომეტრი გვაჩვენებს 16°. ჩვენ თბილ დინებაში ვართ. 39 დღე ვოცნებობდით ამაზე, ტივზე ზეიმია. ყველა ვამოცოცხლდა. კატებიც კი ახმაურდნენ და ქოხში თეფშები გადმოყარეს მაგიდიდან. როგორ სასიამოვნოა სითბო. დაჭიმული, გაშეშებული კუნთები სიცოცხლეს იწყებენ, გინდა ამოძრაო...“

ღ ე ლ ვ ა

3 ივლისს ანრიმ თავის ღიღურში აღნიშნა.

„მე და მორეს გვეძინა, როდესაც კაბინაში შემოიჭრა გასტონი.

— ჩქარა, უშველეთ იალქანს!

გემბანზე საშინელი სურათი იყო. იალქანი აეგლეჯა ქარს და ანძის თავზე აფრიალებდა. ქარი ჰქროდა საათში 30 მილის სისწრაფით, წვიმდა. საერთო ძალით, როგორც იყო დავუშვით იალქანი. მაგრამ ქარმა იგი ხელიდან გამოგვგლეჯა და ტივის წინ წყალში ჩაადო. უიალქნოდ ნაღდი დაღუპვა გველოდა, ტალღები ტივზე გადადიოდნენ და ყოველ წუთს ზღვაში გადაყრას გვემუქრებოდა. დიდი წვალებით იალქანი ტივზე ამოვათრიეთ. ზღვა გაბოროტდა. ქარის სიჩქარემ საათში 45 მილს მიაღწია. ჰორიზონტზე მოჩანდა შავი ღრუბელი, რომელიც კიდევ ახალ საშინელებას გვიქადდა“.

მოგზაურები შეშინებულები იყურებოდნენ ირგვლივ. ნივთები, რომლებიც მათთვის ასე ძვირფასი იყო, იღუპებოდა. სამი გაწუწული, ქანცგამოლეული ადამიანი მუხლზე ხოხვით ცდილობდა გადაერჩინა რაიმე...

ტივმა გაუძლო გამოცდას. შემდეგ ლონდონში მათ გაიგეს რომ ამ ღელვამ რამდენიმე საოკეანო გემს დიდი ზიანი მიაყენა. ტივმა კი გაუძლო. მაგრამ მოგზაურებმა დაკარგეს პროდუქტები, თევზსაჭერი ბადე და სხვა აღჭურვილობა. მათ ისევ შიშველი ელოდათ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

მკითხველთა სიგნალები

თავმჯდომარის პასუხი

სოფ. ქურთას (ტყალინირის რაიონი) ახალგაზრდობას გატაცებით უყვართ ფეხბურთი. ისინი ხშირად აწყობენ შეხვედრებს მეზობელ სოფლების გუნდებთან და გამარჯვებასაც აღწევენ ხოლმე. სამწუხაროდ, ქურთას ახალგაზრდებს საკუთარი ფეხბურთის მოედანი დღემდე არ გაჰრნიათ.

ახალგაზრდებმა ბევრჯერ მიმართეს თხოვნით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ჭულუხაძეს გამოეყო მოედნისათვის მიწის ნაკვეთი, მაგრამ თავმჯდომარემ გულგრილად უპასუხა — თქვენთვის ადგილს ვერ მოვაცდენო (!)

ო. გასიშვილი

რემონტი ჭიანურდება

იმისათვის, რომ აჭარას ჰქონდეს მძლეოსნობაში მაღალი მაჩვენებლები, პირველყოვლისა საჭიროა სისტემატური წვრთნა და სავარჯიშო ადგილი, რაც საუბედუროდ ბათუმის მძლეოსნებს არ გააჩნიათ.

უკვე წელზე მეტია, რაც მიმდინარეობს ბათუმის „დინამოს“ სტადიონის რემონტი, მაგრამ დღემდე თითქმის ხელი არ უხლიათ სარბენი ბილიკებისათვის. ასევე სავალალო მდგომარეობაშია სახტომი ორმოები და სატყორცნი წრეები.

როდემდე გაგრძელდება ასე?

ჯ. ლომთათიძე

შეხვედრა დამსახურებულ ოსტატთან

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის ბათუმის II საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყეს სპორტის დამსახურებულ ოსტატ მ. ჯუღელს. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ სკოლის დირექტორი ნ. მაჭუტაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი, სპორტის ოსტატი ა. გაბრიაძე, ნორჩი ტანმოვარჯიშე ი. სვანიძე და სხვები.

საპასუხო სიტყვით ვამოსულმა მ. ჯუღელმა დამსწრეებს გაუზიარა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მიღებული შთაბეჭდილებები.

მ. ჯუღელს შეხვედრა მოუწყეს აგრეთვე რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა.

ა. ზამბახიძე.

რედაქტორი ი. უგულავა

1

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“,
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, მორიგისა და გამომშვების — 8-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14. УЕ 06334